ერიხ ფრომი

Erich Seligmann Fromm

ადამიანის სული

გამომცემლობა **„აქტი“**

თბილისი – 2020

მთარგმნელი: **ნუგზარ კუჭუხიძე**

გამომცემელი: **გიზო ცაცუა**
გამომცემლობა **„აქტი“,** 2020 წელი

ვებ გვერდი: akti.ge
© ნუგზარ კუჭუხიძე

ISBN 978-9941-8-2483-8

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა.....5

უნარი სიკეთისა და ბოროტების 9
1. ადამიანი მგელია თუ ცხვარი?.....13
2. ძალადობის განსხვავებული ფორმები.....22
3. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ნარცისიზმი....38
ვინ არის ადამიანი? 82
ადამიანი ეულია.....95
ვართ კი ნორმალურები?.....104

შეიძლება კი საზოგადოება იყოს სნეული?
ნორმალურობის პათოლოგია.....113
გამანადგურებლობა 124
ავტორიტარიზმი.....131

სიმბოლოები მითში, ზღაპარში, ადათ-წესსა
და რომანში 172
მითი ოიდიპოსის შესახებ 173
მითი სამყაროს შექმნის შესახებ 204
წითელქუდა 207
შაბათის ადათ-წესი 212
ფრანც კაფკას „პროცესი“ 220

შენიშვნები და განმარტებები.....235
გამომცემლობა **„აქტი“**-ს მიერ გამოცემული წიგნები 239

მთარგმნელის წინასიტყვაობა

სახელოვანმა ჰუმანისტმა მოაზროვნემ, ფილოსოფოსმა, სოციოლოგმა, ფსიქოლოგმა, ფსიქოანალიტიკოსმა, ერიხ ფრომმა ღრმა კვალი დაამჩნია ადამიანის სულის შესწავლის საქმეს. მან მასშტაბურად და ყოვლისმომცველად შეისწავლა და გააანალიზა სულის იდუმალი ლაბირინთები, წარმოგვიდგინა გაუცხოებული, თანამედროვე ადამიანის დესტრუქციული მდგომარეობა და წინასწარმეტყველურად მიუთითა მომავლის ადამიანის სავარაუდო მდგომარეობაზე: „გაუცხოებასა და ავტომატიზაციას მივყავართ მზარდ სიგიჟემდე. ცხოვრებას აზრი არა აქვს, მასში არც სიხარულია, არც რწმენა, არც რეალობა. ყველა „ბედნიერია“, თუმცა ვერაფერს ვერ გრძნობენ, არავინ უყვართ და არც განსჯიან. XIX საუკუნეში პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ღმერთი მკვდარია, XX საუკუნეში კი – ადამიანი. XIX საუკუნეში არაადამიანურობა აღინიშნებოდა სისატიკით, ხოლო XX საუკუნეში იგი აღინიშნება შიზოიდური თვითგაუცხოებით. წარსულში საფრთხე მდგომარეობდა ადამიანთა დამონებაში; მომავალში საფრთხე მდგომარეობდეს იქნება იმაში, რომ ადამიანები შეიძლება გახდნენ რობოტები“.

ორი მსოფლიო ომის საშინელებათა მომსწრე მოაზროვნეს, მრავალწლიანი ფსიქოანალიტიკოსის პრაქტიკულმა გამოცდილებამ და უღრმესი თეორიული ცოდნის მქონეს, შეეძლო ამგვარი რამ ეთქვა: „თანამედროვე ადამიანის ტვინი ამ საუკუნეში ცხოვრობს, ხოლო სული – ქვის ხანაში“.

ერიხ ფრომს თანამედროვე ადამიანის დესტრუქციულობა, რომელიც მჟღავნდება ძალადობაში, სადიზმში, მაზოხიზმსა და ნარცისიზმში, მთელი სრულყოფილებით აქვს გაანალიზებული.

მეტად ორიგინალური და ფრიად საინტერესოა ფრომისეული ანალიზი იმ სიმბოლოებისა, რომელიც გვხვდება ადათ-წესებში, მითებში, ზღაპრებსა და რომანებში. ამ ანალიზის დროს იგი ავლენს, აგრეთვე, ხელოვნებისა და ზოგადად კულტურის ღრმა ცოდნას.

გაუცხოებული, თანამედროვე ადამიანი ახალი ღმერთის ძიების ფუჭ და მოლიპულ გზაზე ქმნის კერპებს პოლიტიკოსის, პოლიტიკური პარტიის, სპორტსმენის, მსახიობის, ტელეწამყვანის, ფულის, მანქანის სახით და მიაწერს მათ მათთვის უცხო ღირებულებებს, ეთაყვანება მათ და მოელის მათგან მისთვის გადაუჭრელი სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტას.

შემთხვევით არ უთქვამს, ბრწყინვალე ფრანგ ფილოსოფოსს – ჟილ დელიოზს ეს სიტყვები: „სირცხვილია ადამიანად ყოფნა!“ სიყვარულის დეფიციტისა და გულგრილობის ეპოქაში ყოველდღიური უნაყოფო, უშინაარსო ფაციფუცი ვერ დააბრუნებს ადამიანს ადამიანური თანაგრძნობის არეალში.

მსოფლიოში მიმდინარე იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა შეხლა-შემოხლამ, სახელმწიფოთა შორის არნახულმა მტრობამ და ჭიდილმა, ტერორიზმმა და ტოტალურმა ავტორიტარიზმმა უკანა პლანზე გადაწია კაცობრიობის სულიერ-შემოქმედებითი ცხოვრება და კულტურა. იდეოლოგიები, რომლებიც ადრეც და დღესაც კულტურის გამოვლენად მიაჩნიათ, უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს კაცობრიობის სულიერ-მორალურ არსებობაზე. თვით რელიგიებიც კი, რომლის იმანენტური მნიშვნელობა ადამიანის ტანჯვის შემსუბუქება, იმედის ჩასახვა და გაღვივება იყო, დაიშრიტნენ და განვითარების შემაფერხებლად იქცნენ.

უფრო მეტიც, ისინი სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტის საფუძველიც კი გახდა.

გულგრილობამ, უსამართლობამ, ფარისევლობამ, მოჩვენებითი ზნეობით შეფუთულმა საქმიანობამ, გახრწნა და ადამიანური სახე დააკარგვინა საზოგადოებას. სანთლით საძებარია ღირსეული, კულტურული, შემოქმედებითი სულის მქონე ადამიანები, მაგრამ არიან, ცოტანი! წარმოიშვა პიროვნების დეფიციტი! „უწინ იყვნენ პიროვნებები, ახლა არის ხალხი“ (მ. ჰაიდეგერი). ემპირიულ და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების საფუძველზე წარმოქმნილ ცივილიზაციას ადამიანები სულიერი კატასტროფისაკენ, „ცივილიზებული ბარბაროსობისაკენ“ (ნ. ბერდიაევი) მიჰყავს. ტექნიკურად მაღალგანვითარებული, ცივილიზებული სახელმწიფოები კვლავ აგრძელებენ მცირე, ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ექსპანსიას, ხალხების დაშინებასა და ჩაგვრას. ავტორიტარული სახელმწიფოები ცინიკურად უცქერიან მცირე ერებს, ისინი კი უქცევიათ დაცინვისა და აბუჩად აგდების საგნად. სინდისმიძინებული თანამედროვე ადამიანი დუმს და ეს დუმილი დაღუპავს კაცობრიობას. „ანონიმურ ძალაუფლებათა“ ტყვეობაში მყოფი თანამედროვე ადამიანი სრულ გაუცხოებაში ცხოვრობს. ინდივიდის პირადი ვაჟკაცობა, გამბედაობა და დამოუკიდებლობა უნდა გახდეს განვითარების მძლავრი საშუალება. ეს კი ყველა ინდივიდის ვალდებულებაა, თუკი იგი თავს ადამიანად მიიჩნევს.

ნუგზარ კუჭუხიძე

უნარი სიკეთისა და ბოროტების

ამ წიგნში განვითარებას ჰპოვებს იდეები, რომლებსაც ყურადღება მივაქციე ჩემს ადრინდელ თხზულებებში. ნაშრომში – „თავისუფლებისაგან გაქცევა“, გამოვიკვლიე თავისუფლების პრობლემა სადიზმთან,[1] მაზოხიზმსა[2] და დესტრუქციულობასთან[3] კავშირში; კლინიკურმა პრაქტიკამ და თეორიულმა ჩაფიქრებამ თანდათან მიმიყვანა თავისუფლებისა და აგრეთვე სხვადასხვა სახის აგრესიულობისა და დესტრუქციულობის უფრო ღრმა გაგებამდე. ახლა, შემიძლია განვასხვავო აგრესიულობის სხვადასხვა ფორმა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ემსახურება სიცოცხლეს, დესტრუქციულობის ავთვისებიანი ფორმიდან – ნეკროფილისაგან, ანუ მკვდრისადმი ნამდვილი სიყვარულისაგან, რომელიც ბიოფილიის – სიცოცხლისა და ცოცხალისადმი სიყვარულის – საპირისპიროს წარმოადგენს. წიგნში – „ადამიანი თავისთვის“ განვიხილე ეთიკურ ნორმათა პრობლემა, რომელიც ემყარება ჩვენს ცოდნას ადამიანური ბუნების შესახებ და არა გამოცხადებას, ან ადამიანის მიერ შექმნილ კანონებსა და ტრადიციებს. აქ, მე ვაგრძელებ მოცემული მიმართულებით კვლევას და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ ბოროტების არსის შესწავლას და სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის პრობლემებს. გარკვეული აზრით, ეს წიგნი, რომლის მთავარი თემაა – ადამიანის ნგრევის უნარი, მისი ნარცისიზმი[4] და ინცესტუალური[5] მიდრეკილება; საპირისპიროა ჩემი ნაშრომის – „სიყვარულის ხელოვნება“, რომელშიც საუბარი იყო სიყვარულის უნარის შესახებ. თუმცა, მოცემულ ნაშრომში სიყვარუ-

ლის განხილვას დიდი ადგილი არ უკავია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში მაინცაა ლაპარაკი სიყვარულის შესახებ, მაგრამ ახლებური, უფრო ფართო აზრით – სიცოცხლისადმი სიყვარულის შესახებ. ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ სიყვარული ცოცხალისადმი შეერთებული არის დამოუკიდებლობასა და ნარცისიზმის გადალახვასთან და წარმოქმნის „განვითარების სინდრომს“, საპირისპიროს „რღვევის სინდრომისა“, რომელიც წარმოიშვება მკვდრისადმი სიყვარულისაგან, ინცესტუალური სიმბიოზისაგან[6] და ავთვისებიანი ნარცისიზმისაგან.

არა მხოლოდ კლინიცისტურმა გამოცდილებამ, არამედ, უკანასკნელი წლების საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა განვითარებამ, მაიძულა რღვევის სინდრომის კვლევა. კვლავ მწვავედ დგას საკითხი: რატომაა, მიუხედავად კეთილი ნებისა და ატომური ომის შედეგების გაცნობიერებისა, მისი თავიდან აცილების ცდები ასეთი უმნიშვნელო ომის წარმოშობის საშიშროების სიძლიერესა და ალბათობასთან შედარებით. მიმდინარეობს გამალებული ატომური შეიარაღება, გრძელდება „ცივი ომი“. სწორედ, შიშმა მაიძულა გამომეკვლია, სულ უფრო მექანიზირებულ, ინდუსტრიულ სამყაროში, გულგრილობის ფენომენის მიმართება სიცოცხლესთან. **ამ სამყაროში, ადამიანი გახდა ნივთი და ამის შედეგად, იგი შიშით და გულგრილობით, თუ არა, სიძულვილით უპირისპირდება სიცოცხლეს. ახლანდელი მიდრეკილება ძალადობისაკენ, გამომჟღავნებული ახალგაზრდათა დანაშაულებებსა და პოლიტიკურ მკვლელობებში, ჩვენს წინაშე აყენებს ცვლილებათა გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ამოცანას. წამოიჭრა საკითხი: საქმე კიდეც რომ არ მივიდეს ატომურ ომამდე, მაინც ხომ არ მივდივართ ახალი ბარბაროსობის მიმართულებით, თუ შესაძლებელია ჩვენი ჰუმანისტური ტრადიციის რენესანსი?!**

მოცემული პრობლემის განხილვასთან ერთად, მსურდა გამეშუქებინა, როგორ შეეფარდება ჩემი ფსიქოანალიტიკური წარმოდგენები ფროიდის თეორიას. მე, არასდროს ვეთანხმებოდი ჩემს მიკუთვნებას ფსიქოანალიზის ახალ „სკოლასთან“, როგორც არ უნდა უწოდონ მას – „კულტურული სკოლა“ თუ

გამომცემლობა „**აქტი**“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა

4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი

10. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
11. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

12. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
13. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
14. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

15. ბერტრან რასელი – ესეები
16. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ

17. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
18. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
19. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია